

განმარტებითი ბარათი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადების მიზეზს წარმოადგენს 2009 წელს ფარმაცევტული ბაზრის კონტროლის ახალეზურად განსაზღვრის შედაგად გარკვეული საკითხების განსხვავებულად დარეგულირების საჭიროება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსის მიხედვით, ფარმაცევტული ბაზრის კონტროლისას, არ გავრცელდება კანონის მოთხოვნა მოსამართლის მიერ ბრძანების გამოცემის თაობაზე. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2009 წელს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების შედეგად, ავტორიზებული აფთიაქის გარდა, სხვა აფთიაქები აღარ ექვემდებარებიან მაკონტროლებული ორგანოს მხრიდან კონტროლის სანებართვო რეჟიმს, შესაბამისად, მაკონტროლებული ორგანოსათვის ფარმაცევტული საქმიანობის განმახორციელებლების შემოწმებისათვის საჭირო იქნება მოსამართლის ბრძანება, რაც, ფარმაციის სფეროში არსებული დარღვევების შინაარსიდან გამომდინარე, დააბრკოლებს კონტროლის ეფექტურობას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს რაიმე დამატებით სახელმწიფო დანახარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება იგი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორია:

საქართველოს შრომის, ჯანმრელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორია

საქართველოს მთავრობა